დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების მთავარი პირობაა, რომ თვითეულ რაიონსა და ქალაქში შეიქმნას ვითარება, რომელიც შესაძლებელს გახდის საქმით უზრუნველყონ დასჯის აუცდენლობის შესახებ ლენინის ცნობილი დებულების შესრულება, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გამოუვლინებელი, ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ აირიდოს თავი სამართლიან სასჯელს.

პროკურატურის, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკთა მოგალობა ზუსტად შეასრულონ ლენინის მოთხოვნა თაღლითებისადმი, მუქთახორებისა და ხულიგნებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების შესახებ.

სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ამოცანები ავალებენ ადმინისტრაციულ ორგანოებს მოახდინონ თავიანთი ძალების კოორდინაცია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განამტკიცონ კავშირი საზოგადოებრიობასთან, მშრომელთა კოლექტივებთან.

რესპუბლიკის პროკურატურის, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და საზოგადოებრიობის

ამბები • ფაქტები

საკდესი“ და
უცხოეთის პრესის
სააგენტოები
იტყობინებიან

საფრთხე კვლავ არის

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ათენი. 22 ოქტომბერი. (საკ-დესი). საბერძნეთის კომუნისტური პარტია ყველა კომუნისტს, კომუნისტურ ახალგაზრდობას, დემოკრატიისა და პროგრესისათვის ყველა მებრძოლს მოუწოდებს გაერთიანდნენ და დაამარცხონ რეაქციის ძალები არჩევნებზე. ამ მოწოდებას შეიცავს საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელიც დღეს გამოქვეყნდა „ეზნეროსპასტისში“ საბერძნეთში პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 17 ნოემბერს გაიმართება.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ანალიზებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ კარამანლისის მთავრობამ მშრომელთა მასების ზიზღისგანით განახორციელა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის ზოგიერთი ღონისძიება, მოითხოვა ვიზიოსის პრობლემის სამართლიანი გადაჭრა, გამოიყენა ქვეყანა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან, მაგრამ ხაზგასმულია განცხადებაში, ამ ღონისძიებებს არ დაუნგრევიათ ხუნტის მიერ შექმნილი მექანიზმის საფუძვლები. კვლავ ხელშეუხებლებია ამერიკისა და ნატოს სამხედრო ბაზები. შენარჩუნებულია კაბალური შეთანხმებანი, ისევ მოქმედებს ამერიკის სამხედრო მისია.

ბერძენ ხალხს დღემდე გარანტირებული არა აქვს დემოკრატიული უფლებანი, კვლავ არის ფაშისტური გადატრიალების საფრთხე.

კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეაქციული ძალები ცდილობენ გააკრიტიკონონ თავიანთი საქმიანობა. ამას მოწმობს, კერძოდ გარუფალისის პარტიის შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ქვეყანაში დემოკრატიისა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოზე საბერძნეთის დამოკიდებულების ლიკვიდაციის პროცესს.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ასეთ რთულ პირობებში პარლამენტის არჩევნების მოწყობა არ შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს, რადგან ეს არჩევნები ვერ ბრუნავს ნამდვილად თავისუფალი; იგი გაიმართება იმ ძალის ითვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს ხუნტის მექანიზმის შენარჩუნებას.

განცხადებაში ხაზგასმულია, კომპარტია, რომელიც ოცდაათი წლის მანძილზე პირველთა შორის იბრძოდა დიქტატურის წინააღმდეგ და განსაკუთრებით სასტიკ დევნას განიცდიდა, ახლა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მძლავრად განავითაროს სახალხო მოძრაობა, აღმოფხვრას ხუნტის მემკვიდრეობა, განახორციელოს დემოკრატიული გარდაქმნები, დაიცვას ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა და მხარი დაუჭიროს ევროპისელი ხალხის ბრძოლას, აღკვეთოს ფაშისტური გადატრიალების საფრთხე.

ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ერთიან მემარცხენეთა“ პოლიტიკური ბლოკის შექმნას, რომელიც აერთიანებს ქვეყნის დემოკრატიულ და მემარცხენე ძალებს, მათ შორის საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას.

საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთში

პარიზი, 23 ოქტომბერი. (საკ-დესი). აქ საფრანგეთის ეროვნული კრების მოწვევით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. პ. რუბენის მეთაურობით. ორლის აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ე. ფორი, ეროვნულ კრებაში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ჟ. დე ბროი, სენატის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე ჟ.-ლ. დიეე და სხვა ოფიციალური პირები. დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ხ. ვ. ჩერვონენკო.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩამოვედით პარიზში საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ' ესტენის მოწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის წინ, განაცხადა ორლის აეროდრომზე ვ. პ. რუბენმა.

ვითარება მოზამბიკში

ლუსაკა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ლორენსუ-მარკიშში, მოზამბიკის ადმინისტრაციულ ცენტრში, 21 ოქტომბრის სერიოზული შფოთი იყო. ინციდენტებმა მოხდა, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს კოლონიური ჯარების ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთმა ჯგუფმა. მოზამბიკიდან მიღებული ცნობებით, სროლის დროს, რომელიც ქალაქის ცენტრში ატყდა ამ ჯგუფსა და წესრიგის აღსადგენად გაგზავნილ პორტუგალიის არმიისა და პოლიციის გათავისუფლების ფრონტის (ფრელიმო) რეგულარულ ქვეგანაყოფეს შორის, დაიხოცა 40-ადე კაცი და დაიჭრა 100-ზე მეტი, არეულობის ოთახვეები დაპატიჟრეს.

რადიოთი გამოსულმა მოზამბიკის პრემიერ-მინისტრმა ჟოაკიმ ჩისანომ და პორტუგალიის უმაღლესმა კომისარმა მოზამბიკში ვიქტორ კრეშუმ განაცხადეს, რომ ინციდენტები ლორენსუ-მარკიშში წარძოძვა მინაური რეაქციის ძალების პროვოკაციული მოქმედების შედეგად, როლებიც კვლავ ცდილობენ რაფუშონ ქვეყნის დეკოლონიზაციის წარმატებით ბიმდინარე პროცესი.

როგორც მოზამბიკის რადიო იუწყება, ვითარება ლორენსუ-მარკიშში სავსებით ნორმალიზებულია. ქალაქს კონტროლს უწევენ პორტუგალიის არმია და ფრელიმოს ნაწილები, რომლებიც. მჭიდროდ თანამშრომლობენ იმ საქმეში, რომ დაიცვან წესრიგი და აღკვეთონ ახალი შესაძლო ინციდენტები. მემარჯვენე ექსტრემისტების, აგრეთვე იმ ძირგამომთხრელი ელემენტების მხრივ, რომლებსაც ქვეყანაში გზავნიან ვეზობელი რასისტული სახელმწიფოებიდან — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან და როდეზიიდან.

მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანცოვი იუწყება: საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი ხელშემწყობ პირობებს ქმნის ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის პროგრესისათვის, როგორიცაა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება. ამ ფაქტის აღიარება ახასიათებს გამოსვლებს გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტში (პირველ კომიტეტში), რომელიც შეუდგა განიარაღების პრობლემათა კომპლექსის განხილვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის. ამოცანები ამ დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებულ მშვიდობის პროგრამაში, ხორციშესხმულია კონკრეტულ წინადადებებში, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა საერთაშორისო ასპარეზზე. მათ შორის არის წინადადება განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

წელს გენერალური ასამბლეა იხილავს საბჭოთა წინადადებას, რომელიც ეხება საქმიანობის ისეთ სფეროსა და ისეთ პროცესებს, რომლებიც წინათ არასოდეს არ ყოფილა განიარაღების შესახებ სახელმწიფოთა ძოლაპარაკების საგანი. ეს არის საკითხი, რომ „აიკრძალოს ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედება სამხედრო და სხვა მიზნებით, რომლებიც შეუთავსებელია საერთაშორისო უშიშროების, ადამიანთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ინტერესებთან“.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხ. ტრეპჩინსკიმ აღნიშნა საბჭოთა ინიციატივის დროულობა და დიდი მნიშვნელობა. თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, თქვა მან, მშვიდობიანი, შემოქმედებითი მიზნებით ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედების უდიდეს შესაძლებლობებს უსახავენ კაცობრობას. მაგრამ ამინდისა და გეოფიზიკურ პროცესებზე ზემოქმედების მეთოდები შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე სამხედრო, დამანგრეველი მიზნებით, ადამიანთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის საზიანოდ. გეოფიზიკური ომის განსაკუთრებული საშიშროება ის არის, რომ აგრესორს შეუძლია მრავალი წლის განმავლობაში ფარულად იყენებდეს ამინდზე, ატმოსფეროს ზედა ფენებზე, პოლარულ ქუდებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე ზემოქმედების მეთოდებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდეს სიცოცხლეს დედამიწაზე.

საბჭოთა წინადადება გზას დაუხშობს ასეთ აგრესიას, ხაზი გაუსვა ს. ტრეპჩინსკიმ. მისი განხორციელება ხელს შეუწყობს არა მარტო გამალებული შეიარაღების შეზღუდვას, არამედ აგრეთვე გარემოს შენარჩუნებას მთელი კაცობრობის ინტერესების საკეთილდღეოდ.

ირანის წარმომადგენელი ფ. ჰოვეიდა შეეხო განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის მუშაობის შედეგებს და აღნიშნა, რომ ქვეყანები დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ასეთი ფორუმის მოწყობას, უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია იგი განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზების გამოძებნისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სენატორმა ს. საიმინგტონმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები დაინტერესებულია განაგრძოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხზე. სენატორმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტებს, რომლებსაც ხელი მოაწერეს შარშან ზაუხულში უმაღლეს დონეზე შეხვედრის შედეგად.

უნდა შეწყდეს ტერორი

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მესამე კომიტეტმა (სოციალური, კულტურული და ადამიანტარული საკითხებისა) დაგმო ტერორი, რომელიც შაშისტურმა ხუნტამ გაანაწყა ჩილეში, და მოსთხოვა მას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რეპრესიები, აღადგინოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი და გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები, ქვეყნიდან წასვლის შესაძლებლობა მისცეს იმათ, ვინც ამას მოისურვებს. გუშინდელ სხდომაზე ერთსულოვნად მოწონებული რეზოლუციის პროექტში კომბატანტ ხუთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXIX სესიის თავმჯდომარეს იმმართონ ყველა ღონისძიება, რათა მიაღწიონ იმას, რომ ჩილეს ხუნტამ დაიცვას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპები.

დოკუმენტი გადაცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატები. ბოსტონში კვლავ დაძაბულობაა, რაც გამოიწვია აღმოსავლეთ რასისტთა თარეშმა. ისინი გამოდიან თეთრკანიანთ და ზანგ მოსწავლეთა ერთად სწავლის წინააღმდეგ.

სურათზე: ბოსტონის პოლიციის მოტორიზებული შტაბრატი იცავს სასკოლო ავტობუსს, რომელშიც ზანგი მოსწავლეები სხდნენ.

საკდესის ფოტო.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ახალ ფაზაში შევიდა იტალიის მთავრობის კრიზისი, რომელიც თითქმის სამი კვირა გრძელდება. ორი დღის ხანგამოშვების შემდეგ ქრისტიანი დემოკრატი ა. ფანფანი, რომელსაც პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ დაავალა მთავრობის შექმნა, ანახლებს მოლაპარაკებას „მემარცხენე ცენტრის“ წინანდელ კოალიციაში შემავალი პარტიების — ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული, აგრეთვე პარლამენტში მთავრობის მომხრე რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

მან ამ პარტიების ხელმძღვანელებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აჯამებს გამართული კონსულტაციებისა და შეხვედრების შედეგს. როგორც ცხობილი გახდა, სოციალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის სერიოზული უთანხმოებაა, კერძოდ, ქვეყნის წინაშე მდგომი ძირითადი ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში პროფკავშირთა როლის საკითხზე.

დაგმო რა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის პროვოკაციული მანევრები, რომელსაც სურს პარლამენტის ვადამდელი დათხოვნა, „საზეთი „უნიტა“ ხაზს უსვამს, რომ იტალიის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად იბრძოლებს ხალხის დემოკრატიისა და ინტერესების დაცვისათვის, პოლიტიკური ცხოვრების ღერძის მარჯვნივ გადახრის წინააღმდეგ.

23 ოქტომბერი
ტელეტაიპის ლენტიდან

გადავარჩინოთ ხორხე მონტესი

● ნიუ-იორკი, (საკდესი). ჩილელი კომუნისტი სენატორის ხორხე მონტესის სიცოცხლე საფრთხეშია. 8 ივლისიდან იგი, მისი ცოლი და ორი ბავშვი დაპატიმრებული არიან და საშინელ წამებას განიცდიან. ეს ნათქვამია სახალხო ერთიანობის პოლიტიკური კომიტეტის განცხადებაში, რომელიც სანტიაგოში გაავრცელეს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წამების შედეგად მონტესის ცოლმა და მისმა ქალიშვილმა გონება დაკარგეს, ხოლო თვითონ იგი სიკვდილის პირასაა.

განცხადების ავტორები მოუწოდებენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ყოველი ღონე იხმაროს მონტესისა და მისი ოჯახის წევრების გადასარჩენად.

ტელ-ავივის პროვოკაციები

● ნიუ-იორკი, (საკდესი). ისრაელი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს ლიბანის წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ცნობების თანახმად, ერთი კვირის განმავლობაში — 14-20 ოქტომბერს — ისრაელის ჯარებმა 42-ჯერ დაუშინეს ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის ცეცხლი ლიბანის ტერიტორიას. იმავე პერიოდში ისრაელის შეიარაღებული პატრულები ორჯერ შეიჭრნენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა 12-ჯერ შემოუფრინეს ლიბანის ტერიტორიას.

გამოძიების საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებმა დაადგინეს, რომ 18 ოქტომბერს ისრაელის ქვეგანაყოფები შეიჭრნენ ლიბანის ტერიტორიაზე. დანაღმეს იგი და დადგეს მავთულხლართები.

ნათესებს ემუქრება... კალია

● ბამაკო, (საკდესი). კალიის ურდოები გამოჩნდა მალის რესპუბლიკის ო�o რაიონებში. როგორც ბაზეთი „ესორი“ იტყობინება, კალია ემუქრება 40 ათას ჰექტარ ხასოფლო-სამეურნეო ნათესებს მდინარეების გარისა და გერეკორიუ ხეობებში.

მალის ხელისუფალნი ყოველ ღონეს ხმარობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს საშიშ მავნებლებთან შესაბრძოლებლად.

კონვეიერზეა ელექტრომობილები

● პარიზი, (საკდესი). ქალაქ ამბერიეში (პიუი-დე-დომის დეპარტამენტი) მწყობრში ჩადგა ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილების ქარხანა, რომელიც პირველია საფრანგეთში. იგი გამოუშვებს პატარა ორადგილიან მანქანას, რომელიც სპეციალურად შეიმუშავეს ფრანგმა კონსტრუქტორებმა ქალაქის პირობებისათვის. სამთვლიანი ავტომობილი, რომელსაც პლასტმასის ძარა აქვს, საათში ავითარებს 50 კილომეტრამდე სიჩქარეს და აკუმულატორული ბატარეების დაუმუხტავად შეუძლია გაიაროს 70 კილომეტრი. 1975 წელს ამბერიეს ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვა სამი ათასამდე ელექტრომობილი.

არეულობის მოთავეები დაუპატიმრეს

● ლუსაკა, (საკდესი). ლორენსუ-მარკიშიდან მიღებული ცნობით, პორტუგალიის უმაღლესმა კომისარმა მოზამბიკში ვიქტორ კრეშუმან განაცხადა, რომ მოზამბიკის ამ მთავარ ქალაქში კვირას მომხდარი არეულობის მოთავეები სასტიკად დაისჯებიან. არეულობის მონაწილე უოფილი პორტუგალიელი სამხედრო მოსამსახურეები უკვე გაგზავნეს ხომალდებით პორტუგალიაში.

სსრ კავშირი—გფრ:

ფართოვდება საქმიანი თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირ—დასავლეთ გერმანიის კონფერენცია თბილისში

22 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაასრულა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის საბარამ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა აქტუალურ პრობლემებს. მისმა მონაწილეებმა — ორი ქვეყნის სამმართველო წრეებმა და მეცნიერთა ჯგუფმა — განიხილეს საკითხები ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკურ-ტექნიკური კონტრაქტების შემდგომ განვითარებისა და გაღრმავების საკითხი.

ამგვარი შეთანხმებანი ათი წლის პერიოდისათვის, კერძოდ, ხელმოწერილია ფინეთთან, საფრანგეთთან, ავსტრალიასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიასთან. დასავლეთ გერმანიის კონცერნ „ზაელგიტერთან“ დადებულია კონტრაქტი კოდიტის ბორბებით სარ კავშირში პოლიეთილენის წარმოების კომპლექტური მოწყობილობის მიწოდების შესახებ. წარმოების მოლაპარაკება ენერგეტიკის დარგში კოთაენსაციის საფუძველზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს, მის როლს სამაღლო მეურნეობის განვითარების დაჩქარებაში.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საგაოო ვაჭრობის სტრუქტურის საკითხებსა და საქონელბრუნვის განვითარების პერსპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში არის იმის წინამძღვრები, რომ მან მსოფლიო ბაზარზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს როგორც მთელ რიგ ახალ სახეობათა პროდუქციის, მაგალითად, ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობის, პრეციზიული ჩარხების სამეცნიერო ხელსაწყოების, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის, გასაზრდა აპარატურის მიმწოდებელმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ შეიქმნა ხელშემწყობი წინამძღვრები, რათა უფრო აქტიურად გადავიდეთ კომპლექსურ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე როგორც გრძელვადიანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისა, ისე ცალკეულ საბჭოთა ორგანიზაციებსა და უცხოთის ფირმებს შორის დიდმასშტაბიანი გაოიგებების საფუძველზე. ამგვარი შეთანხმებანი ათი წლის პერიოდისათვის, კერძოდ, ხელმოწერილია ფინეთთან, საფრანგეთთან, ავსტრალიასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიასთან. დასავლეთ გერმანიის კონცერნ „ზაელგიტერთან“ დადებულია კონტრაქტი კოდიტის ბორბებით სარ კავშირში პოლიეთილენის წარმოების კომპლექტური მოწყობილობის მიწოდების შესახებ. წარმოების მოლაპარაკება ენერგეტიკის დარგში კოთაენსაციის საფუძველზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს, მის როლს სამაღლო მეურნეობის განვითარების დაჩქარებაში.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საგაოო ვაჭრობის სტრუქტურის საკითხებსა და საქონელბრუნვის განვითარების პერსპექტივებს. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობა საერთო პეიზაჟებზე, პრეციზიული ჩარხების სამეცნიერო ხელსაწყოების, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის, გასაზრდა აპარატურის მიმწოდებელმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ შეიქმნა ხელშემწყობი წინამძღვრები, რათა უფრო აქტიურად გადავიდეთ კომპლექსურ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე როგორც გრძელვადიანი ხელშეკრულებისა და შეთანხმებებისა, ისე ცალკეულ საბჭოთა ორგანიზაციებსა და უცხოთის ფირმებს შორის დიდმასშტაბიანი გაოიგებების საფუძველზე. ამგვარი შეთანხმებანი ათი წლის პერიოდისათვის, კერძოდ, ხელმოწერილია ფინეთთან, საფრანგეთთან, ავსტრალიასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიასთან. დასავლეთ გერმანიის კონცერნ „ზაელგიტერთან“ დადებულია კონტრაქტი კოდიტის ბორბებით სარ კავშირში პოლიეთილენის წარმოების კომპლექტური მოწყობილობის მიწოდების შესახებ. წარმოების მოლაპარაკება ენერგეტიკის დარგში კოთაენსაციის საფუძველზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შესახებ.

ამ მიზანთან დაკავშირებით საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ერთიან მემარცხენეთა“ პოლიტიკური ბლოკის შექმნას, რომელიც აერთიანებს ქვეყნის დემოკრატიულ და მემარცხენე ძალებს, მათ შორის საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი



გ. ლომიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

ჩვენს სახელოვან თანამემამულეს გიორგი იოსების-ძე ლომიძეს ახლა ფართოდ იცნობენ მთელს მრავალეროვან საბჭოთა ქვეყანაში და მისი ფარგლების მიღმაც.

იცნობენ როგორც:

გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს,

სახელოსნეველ საზოგადო მოღვაწეს,

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთ სახელგანთქმულ და ავტორიტეტიან წარმომადგენელს.

გიორგი ლომიძეს დაბადების სამოცი წლისთავი შეუსრულდა, რაც სულ ახლახან ფართოდ აღინიშნა მოსკოვის სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში.

მეცნიერ-ლიტერატორის შრომისა და დამსახურების დიდი აღიარება და დაფასება იყო შარშანწინ მისი არჩევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო ახლახან — დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით.

თავისი ძრავალმხრივად საინტერესო ცხოვრების ორმოცე წელზე მეტი გ. ლომიძემ მოახმარა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას, მისი ისტორიისა და დღევანდელი დღის მეცნიერული და კრიტიკული შესწავლის საქმეს.

განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა ისტორიისა და თეორიის მეტად აქტუალური რთული პრობლემების ბანხილვიერ დამუშავებაში.

იგი ამ უდიდესი საქმის ერთ-ერთი პირველი მოთავე და უშუალო მონაწილეა.

გიორგი ლომიძე დიდ საბჭოთა მეცნიერებაში მოვიდა ომისშემდგომ წლებში, როდესაც მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ (1951 წ.) ზედიზედ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომები საბჭოთა ლიტერატურის მეტად აქტუალურ პრობლემებზე.

მაგრამ ამ დიდ ნაბიჯს წინ უსწრებდა მეტად საინტერესო და მოუსვენარი ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობა, რომელიც მან ჯერ კიდევ ნაადრევი ჭაბუკობისას დაიწყო თბილისში ოცდაათიან წლებში.

ახლა, როდესაც გამოქვეყნებულია პროფესორ გიორგი ლომიძის ას ოცზე მეტი თეორიული თუ ისტორიული ხასიათის ჭეშმარიტად მეცნიერული ნაშრომი, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მისი როლი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლოდ აუცილებელი აქტუალური ქრობლემების დამუშავებაში, როგორიც არის:

ეროვნულის სპეციფიკა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ინტერნაციონალურისა და ეროვნულის ერთიანობა, როგორც მთლიანი ესთეტიკური ფენომენი;

სოციალისტური რეალიზმის რაობა და ნოვატორული ხასიათი;

ლიტერატურათა ურთიერთკავშირი და ურთიერთგამდიდრება საბჭოთა სინამდვილეში,

შემოქმედებითი ინდივიდუალობა და სტილი, როგორც ამ ინდივიდუალობის გამოხატულება;

საბჭოთა ხელოვნების ჰუმანისტური კონცეფცია.

ნოვატორობისა და ტრადიციის ურთიერთობა;

ეროვნულისა და საკაცობრიო იდეალების გამოხატვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში...

ამ პრობლემათა მეცნიერული დამუშავების. დიდ ლიტერატურულ პრაქტიკას უშუალოდ ნაზიარები ანალიზის პროცესში ვლინდებოდა და იკვეთებოდა გიორგი ლომიძის, როგორც კომუნისტი მკვლევარის პოზიცია.

ეს არის ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის, მრავალმხრივად ერუდირებული პარტიული ინტელიგენტის პრინციპული პოზიცია ახალი ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების მეტად რთული, თავსატეხი, ბევრ შემთხვევაში მანამ უცნობი პრობლემების შესწავლასა, გაშუქებასა და გაანალიზებაში.

სწორედ ამ თვალსაზრისით, გიორგი ლომიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ისეთი ფუძემდებლური გამოკვლევები, როგორიცაა: „სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“ (თბილისი, 1952), „საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა სოციალისტური შინაარსისა და ეროვნული ფორმის შესახებ“ (მოსკოვი, 1952), „ერთიანობა და მრავალსახეობა“ (მოსკოვი, 1957, 1960), „ინტერნაციონალური ერთიანობის ლიტერატურა“ (მოსკოვი, 1962), „ახლის ძიებაში“ (მოსკოვი, 1963), „საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თეორიული პრობლემები“ (თბილისი, 1964), „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის შესახებ“ (მოსკოვი, 1966). „საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური პათოსი“ (მოსკოვი, 1967, 1970), „ლენინიზმი და ეროვნულ ლიტერატურათა ბედი“ (მოსკოვი, 1973), „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობა“ (თბილისი, 1974).

საბჭოთა მეცნიერის საინტერესო კვლევითი მიგნებანი, კერძოდ, ეროვნული ლიტერატურების განვითარების დიალექტიკურ კანონზომიერებათა სფეროში, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისმცოდნეობის კუთვნილებად იქცა. გიორგი ლომიძის ბევრი სამეცნიერო ნამუშევარი თარგმნილი და გამოცემულია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იაპონურ, ჩეხურ, ბულგარულ, პოლონურ, რუმინულ, უნგრულ და სხვა ენებზე, აგრეთვე საბჭოთა ხალხების ბრავალ ენაზე.

გიორგი ლომიძე მწერალთა, კრიტიკოსთა, ლიტერატურისმცოდნეთა მრავალი საერთაშორისო ფორუმის მონაწილეა. მისი მოხსენებები ბულგარეთის, ჩეხოის, სლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა აკადემიების მიერ მოწყობილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე გარკვეული წვლილი იყო თანამედროვე მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის შემდგომ განვითარებაში.

ეს ფაქტი თავისთავად ადასტურებს საბჭოთა მეცნიერის პოპულარობას, რაც უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ მის ნაშრომებს ყოველთვის გამოარჩევს:

სიახლე, აქტუალური მგრძნობელობის გახსაკუთრებული უნარი,

ჭეშმარიტი კვლევითი სიღრმე,

მეცნიერული ისტორიზმი,

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სიცხადე და თანმიმდევრობა,

მკაფიო პარტიული პოზიცია,

ლიტერატურულ მოვლენათა ანალიზისას მათი იდეური და ესთეტიკური ღირებულებების მთლიანობაში აღქმა.

ჩვენ ვიცით, რაოდენ რთულია ჭეშმარიტი მეცნიერული კვლევის ყველა ამ აუცილებელი თვისების მთლიანობის მიღწევა. ძით უფრო სასიხარულო და საამაყოა ჩვენთვის ჩვენი ღირსეული თანამემამულის წარმატება!

გიორგი ლომიძის სამართლიანად მიიჩნევენ არა მხოლოდ გამოჩენილ მეცნიერ-ლიტერატურისმცოდნედ, არამედ მთელი იმ მრავალმხრივი საქმიანობის ერთ-ერთ ორგანიზატორადაც, წარმატებით რომ ხორციელდება ჩვენში საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა მეცნიერულ-კომპლექსური შესწავლისათვის.

ყველა ხალხისათვის სამამულიშვილო ამ საქმეს მან განსაკუთრებული ღვაწლი დასდო და დიდი შემოქმედებითი ენერგია მოახმარა, ახლახან დასრულდა „საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის ისტორიის“ ფუნდამენტური გამოცემა, რომლის ექვს ტომშიც თანამედროვე მეცნიერების დონეზე შესწავლილია ჩვენს კავშირში შემავალი ყველა ხალხის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესი და განზოგადებულია მათი მდიდარი გამოცდილება.

მოთავე ამ გამოცემისა, რომ

საქართველოს რაიონებში „გურჯაანი“

გვატყობინებს „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხუთი ახალი სკოლა

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელს წლეულს კიდევ ხუთი ახალი სასკოლო შენობა შეემატა. მშენებლობა დამთავრდა და სწავლა დაიწყო სოფლების ვალისციხის, ჩუმლაყის, ჭანდრის, ჯიმითისა და ვაზისუბნის საშუალო სკოლებში. აღნიშნული სკოლები გათვალისწინებულია სულ 3.900 მოსწავლისათვის, მათ შორის ვალისციხისა და ჩუმლაყისა — თვითეული 960 მოსწავლისათვის.

ავტომატური სატელეფონო სადგური

სოფელ ვალისციხეში დამთავრდა ახალი 500-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის მონტაჟი. ამ დღეებში იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა. ახლა სოფელში ყველა საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით. ამავე სიკეთით სარგებლობს კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა 400-მდე ოჯახი.

გურჯაანიდან — მოსკოვში

რვა დღეს ამყოფებოდნენ მოსკოვში სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის გუნდი და ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავეთა ჯგუფი (ხელმძღვანელები ა. ზარდიაშვილი და ა. გურგენიძე), რომლებმაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამართეს კონცერტები.

გურჯაანელ ხელოვნების მუშაკთა გამოსვლებს კარგი შეფასება ხვდა წილად. გუნდი და მოცეკვავეთა ჯგუფი გამოფენის მედლებით დაჯილდოვდნენ, ხოლო მონაწილეებმა კი სამახსოვრო მედლები მიიღეს.

სახალხო თეატრებში

სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა სახალხო თეატრმა სეზონი გახსნა და მაყურებელს უჩვენა თეოდორაძის პიესა „ნეკერჩხლის ტყეში“, ხოლო სოფელ ვალისციხის დრამატულმა სახალხო თეატრმა — ა. თაბორაძის პიესა „სინდისის ქმისა“.

დახმარება ომის ინვალიდებს

დიდი ყურადღებითა და პატივისცემით არიან გარემოსილი რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები დიდი სამამულო ომის ინვალიდები. მარტო წლეულს 9 თვეში 29 ინვალიდს უფასოდ მიეცა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. შვიდმა უსასყიდლოდ მიიღო მუუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“. მათ შორის არიან გურჯაანელი დ. მჭედლიშვილი, ჩუმლაყელი თ. დოლაშვილი, შრომელი დ. ჩიდრაშვილი და სხვები.

სამამულო ომის 14 ინვალიდს მიეცა ხელით სამართავი ავტომანქანები „მოსკვიჩი“ და „ჟიგული“; დიდი რაოდენობით გაიცა აგრეთვე ერთდროული ფულადი დახმარებები.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ზღვის ეტიუდები

ვ. გენგიური — შტორმის შემდეგ.

ო. ციცაკაძე — ელვა ზღვაზე.

ო. ლუკიანცევი — ფოთის ნავსადგურში.





გაჯყავთ სასოფლო გზები

შაკანასპნელ ხანს ჭიათურაში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო გზების მშენებლობა. სოფლებში — ითხვისში, მელუშეთში, მეჩხეთურსა და რეხილათში უკვე კარგა ხანია გაიხსნა საავტობუსო რეისები. განსაკუთრებით ძნელ პირობებში უხდებოდათ გზის გაფართოება-შეკეთება ჭიათურელ მშენებლებს პერეკეთისა-სვერის მარშრუტით. საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოო საგზაო უბნის მშრომელებმა დიდი მონდომება და საქმის სიყვარული გამოიჩინეს და გზის ეს ძნელი მონაკვეთი უმოკლეს დროში დაამთავრეს.

თავი ისახელეს მბურღავებმა ა. ცუკაძირიძემ, შ. კვანტიძემ, ზ. მოდებაძემ, ამფეთქებლებმა გ. ასანიძემ, ვ. გაჩეჩილაძემ, მებულდოზერე ს. ცუკაძირიძემ, მძღოლებმა ე. მაჭარაშვილმა, პ. ხვედელიძემ, ს. შეყილაძემ და სხვებმა.

მექანიზატორთა შრომითს საქმიანობას უნარიანად ხელმძღვანელობდა გამოცდილი საგზაო ინჟინერი, უბნის უფროსი ს. ტაბატაძე.

ავტობუსი მალე მივა თვალუეთში, გეზრულსა და ცხრუკვეთშიც.

ბ. შეყილაძე.

მუზეუმი სოფელში

ჩხარი ისტორიული სოფელია. აქ ორი ათეული წლის წინათ საშუალო სკოლაში შეიქმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამ ეთეული საქმის თაოსანი ისტორიის მასწავლებელი ალ. ბოცხრიკაძე იყო. ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა მალე გამდიდრეს მუზეუმი. როცა ექსპონატები ერთ ოთახში ვერ მოთავსდა, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მუზეუმს მოზრდილი, ეთილმოწყობილი შენობა გამოუყო. ახლა აქ 6 ათასამდე საინტერესო ექსპონატია. აქ ნახავთ უძველეს სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღებს, მონეტებს, სამკაულებს, საოჯახო ნივთებს, ხელნაწერებს. მოსწავლეებმა მუზეუმის ექსპონატებზე სასწავლო შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციებისათვის მოამზადეს მოხსენებები და პირველი ხარისხის დიპლომები მოიპოვეს.

გოდოგნის ნაკრძალი

სოფელ კოდოგნის (თერჯოლის რ.). ტყეებში, მდინარეების—წყალწითელასა და ქვაშავას მიდამოებში, 500 ჰექტარ ფართობზე მოეწყო ნაკრძალი. აქ მოაშენეს გარეული ღორები, შველები, ირმები, ფაზიათი ფრინველები.

ჯ. ჭიოკაძე.

ჩვენი ცნობარი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრის გამგე — 1, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდიუმში უნდა შემოიტანონ განცხადება და შემდეგი საბუთები:** 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; 2. ავტობიოგრაფია; 3. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიალურად შემოწმებული; 4. ხარისხის დიპლომისა და წოდების სტესტატის ნოტარიულად შემოწმებული პირები; 5. სამეცნიერო შრომების სია, ძირითადი შრომები და მათი რეცენზიები; 6. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან და ორი ფოტოსურათი, ზომით 4X6.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს



რომ ეკონომიური, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტებს დაუსწრებელი სწავლების განყოფილების მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის მიმოხილვითი ლექციები ჩატარდება **1974 წლის 11 ნოემბრიდან.**

გამოცხადება საპალადებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 2 (მაღლივი კორპუსი).

რომ იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კურსის სტუდენტებისათვის მიმოხილვითი ლექციები ჩატარდება **1974 წლის 11 ნოემბრიდან.**

გამოცხადება საპალადებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 2.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საქვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1974-75 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. **ზოოტექნიკური ფაკულტეტი** (ქართული და რუსული სექტორები) — ზოოინჟინრის სპეციალობით.

2. **საქვეტერინარო ფაკულტეტი** (ქართული სექტორი — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე მიიღებიან სრული საშუალო განათლების მქონე პირები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში.

საქვეტერინარო ფაკულტეტზე ის პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო საქვეტერინარო განათლება და მუშაობენ უმაღლესში ამორჩეული სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტში შემომსვლელთათვის მოეწყობა მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართულ სექტორზე — ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (ზეპირი).

რუსულ სექტორზე — რუსული ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (ზეპირი).

ოქრის ან ვერცხლის მედალოსნებმა, ან სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მსაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

მიღების წესებით გათვალისწინებული უგამოცდოდ დაკონკურს გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომელთა საშუალო შეესატყვისება უმაღლესში არჩეულ სპეციალობას თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობენ არა ნაკლებ ექვსი თვისა, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მომსახურენი, ამასთანავე ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირები, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად იგზავნებიან სასწავლებლად იმ სპეციალობაზე, რომელიც შეესატყვისება შემომსვლელის მუშაობის ხასიათს და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილი უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ, 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. 3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების საერთო რიცხვი ბოლო მინამეტში და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკიდან ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიაც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მოვლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მომმართვა სასწავლებელში მიღებების შესახებ.

4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ოთხი ფოტო სურათი (დადგენილი უქუდოდ), ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 30 დეკემბრამდე ყოველდღე გარდა კვირადღისა 12-დან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები იწყრამოებს 3 იანვრიდან 20 იანვრამდე. დაუსწრებელი ცნობების მიღება შეიძლება მომდევ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კრწანისი. **საქართველოს ზოოტექნიკურ საქვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.**

პატივცემულო დიასახლისებო!



წინასაადღესასწაულო საზრუნავში, ნუ დაგავიწყდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა.

უბედური შემთხვევებისა და ხანძრების თავიდან აცილების მიზნით, კატეგორიულადაა აკრძალული იატაკის ბენზინით გარეცხვა ან მასტიკის ლია ცეცხლზე შეთბობა.

სტუმრად ან ქალაქიდან წასვლისას არ დაგავიწყდეთ ყველა ელექტროხელსაწყოების გამორთვა.

გახსოვდეთ ამის შესახებ და ნუ დაინაღვლიანებთ სადღესასწაულო განწყობილებას.

სსკ. შსს სახანძრო დაცვის სამმართველო და ნეგაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ტელევიზია

24 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი, 11.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ციები, კარგი ადამიანი“. 16.30 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა. მიძღვნილი უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და უზბეკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან). 17.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — „ქიმია დასახმარებლად“, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ციროდელნს ეარანი“, 19.00 — „მსოფლიო დღეს“, 19.15 — „მეკიეცე საკვები ბაზა მეცხოველეობას“, 19.30 — მოლიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „პალიტრა“, 20.30 — „ოვადგინოთ თუთის ნარგავები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ეროვნა“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ახალგაზრდულ დადაკვამთა რეფერენციის საკავშირო ფესტივალი.

რადიო

25 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. სოლოვიანენკოს კონცერტი, 11.45 — „ჩვენ ძმობითა ვართ ძლიერნი“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „ეროვნა უპირველეს ყოველისა“ ხალხური ლექსები, 12.30 — ფ. შოპენი ბალადა სოლ მინორი, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — კ. ხაჩატურიანი. მეშვიდე საორკესტრო სიუიტა. 13.50 — მოსწავლეთათვის. „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს ვ. მოგილევსკი, 17.40 — მოსწავლეთათვის „თქვენი გაზეთი 50 წლისაა“, 18.05 — ს. ცინცაძე ნაწყვეტები ბალეტიდან „ციისფერი მთის საუნჯე“, 18.45 — ა. ნოვიკოვი სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — ფ. კრეისლერი საკიოლინო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — ძილისპირული“, 21.10 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „ალეკო“, 22.00 — „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“, 23 30 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

24 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდეო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა ტყეში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380008 თბილისი-8, ლენინის 14. **რედაქტორის მოადგილეებს** — 99-93-03, 99-03-09, 3/მგ **მდივნის** — 99-72-80, **სამდივნოსი** — 99-66-10. **განყოფილებებისა:** პარტიული—99-87-61, **პროპაგანდის** — 93-22-93, **მრეწველობის** — 93-20-34, **სოფლის მეურნეობის** — 99-52-46, **საბჭოთა** ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 93-27-58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 99-55-01, **ინფორმაციის** — 93-16-90, **უცხოეთის** — 99-60-21, **წერილების** — 99-73-24, **ილუსტრაციის** — 93-28-34.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 № 14183

ხელ. ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲦᲘ, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14